გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 76

2020 წლის 12 ივნისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს 2020 წლის მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიში	ივლისი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ივანე კორინთელი
2	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2019 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	ივლისი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია ზურაბ ყაჯრიშვილი
3	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2019 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიში	ივლისი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია დავით გუდაძე
4	გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	აგვისტო	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ივანე კორინთელი
5	ა (ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2019 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	აგვისტო	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია ზურაბ ყაჯრიშვილი
6	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის განყოფილების 2019 წლის სექტემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიში	აგვისტო	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია დავით გუდაძე
7	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების 2019 წლის ატვისტოდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიში	აგვისტო	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ლიანა ჩლაჩიძე